# საბჭოთა საქართველოს 45 წელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 39 (3016)

1966 წ. 24 თებერვალი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

სულ მაღლა...





სულ წინ...



სულ შენიგბა...

# პატაკი სამშობლოს

საბჭოთა საქართველოს ხვალ 45 წელი შესრულდება.

— რა წარმატებებით ხვდებით ამ სახელოვან თარიღს და როგორი სამერმისო გეგმები გაქვთ?

ასეთი შეკითხვით მივმართეთ „ლელოს“ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ სპორტსაზოგადოებას.

აი, მათი პასუხებიც:

## „განთიადი“

**მას შემდეგ,** რაც ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმა-ვალდებულება ხუთ წელიწადში გადაჭარბებით შევასრულეთ, ჩვენებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 45 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, ფოთის, ზესტაფონის, სამტრედიის, ტყიბულისა და სიღნაღის საბჭოებმა. და აი, წლის ბოლოს „განთიადმა“, რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა, სიტყვის განაღდება უპატაკა სამშობლოს.

წლეულს დიდი გეგმები გვაქვს. ქუთაისში დაიწყება გასათბობი სისტემით აღჭურვილი 3-ბაზიანი საცურაო აუზის მშენებლობა, თბილისის ზღვაზე საფუძველი ჩაეყრება ნიჩბოსნობის სადგურს, მცხეთაში დამთავრდება ნიჩბოსნობის სადგურის აგება, თბილისში სპორტკლუბ „განთიადთან“ დაიწყება ტანვარჯიშული დარბაზის მშენებლობა და სხვ.

კიდევ უფრო ფართოდ გავშლით სამზადისს რესპუბლიკურ და საკავშირო IV საიუბილეო სპარტაკიადებში წარმატებით მონაწილეობისთვის.

## „კოლმეურნე“

**შარშანდელი** წელი ბევრი თვალსაჩინო გამარჯვებით დავამთავრეთ. ზეგეგმით მოვამზადეთ 2 საერთაშორისო კლასის ოსტატი, 25 ოსტატობის კანდიდატი, დიდი გადაჭარბებით გავანაღდეთ გეგმა-ვალდებულების სხვა მუხლებიც.

236.242 სოფლის სპორტსმენზე ახლა მოდის 22.832 ინსტრუქტორ-მეთოდისტი, ე. ი. ყოველ 10 ფიზკულტურელზე — 1 საზოგადოებრივი მუშაკი.

5.000 კაცით გაიზარდა საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულთა რაოდენობა.

კომპლექსური ბაზებია რიცხვი 78-დან 92-მდე ავიდა. სოფლის სპორტსმენთა განკარგულებაში ახლა გვაქვს კალათბურთის 698, ფრენბურთის 1645 მოედანი და სხვ.

გვასახელეს რ. რურუამ, ნ. ხოხაშვილმა, ა. ცხოვრებოვამ, ლ. კაციაშვილმა, შ. გულორდავამ, ა. დოლეენკომ, ა. მანჯავიძემ, ხერგიანებმა, გ. წერედიანმა, ჯ. გუგაკამ, ჯ. კახიანმა...

წლეულს წინა გვაქვს სოფლის სპორტსმენთა რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადები.

## „გურევიჩნიკი“

**დიდი** გადაჭარბებით შევასრულეთ შარშანდელი გეგმები: 60 სპორტის ოსტატის ნაცვლად მოვამზადეთ 66, 470 პირველთანრიგოსნის მაგივრად — 574...

სტუდენტ-ფიზკულტურელთა არმია 2.000 კაცით გაიზარდა და მისმა საერთო რაოდენობამ 21.798-ს მიაღწია.

სტუდენტმა-სპორტსმენებმა ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვეს საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოსა და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა გ. საღარაძე. ევროპაში უძლიერესნი იყვნენ ქართველი ძიუდოისტები ფ. ჩიკვილაძე და ა. ქიბროწაშვილი, თავისუფალი სტილის მოჭიდავე, სსრ კავშირის ჩემპიონი ზ. ბერიაშვილი. ჩემპიონთა და პრიზიორთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

წლეულს ჩვენი მთავარი საზრუნავია სტუდენტთა რესპუბლიკურ და საკავშირო თამაშებში წარმატებით გამოსვლა.

უნდა დავამთავროთ ბაკურიანის სპორტული ბაზის რეკონსტრუქცია, თბილისის ზღვაზე ავაშენოთ ნიჩბოსნობის სადგური...

# საშეჯამებელი

აქ ვერასოდეს გაიგონებთ გრდემლზე უროს დარტყმის ხმას, ქურის გუგუნს, საწრთობად წყალში ჩაშვებული გავარვარებული ლითონის შიშინს... აქედან არ გამოაქვთ სახნისები, გუთნის პირები, ორთითები... მაგრამ მაინც სამჭედლოს უწოდებენ, და სამართლიანადაც! იგი ადამიანთა სამჭედლოა, რომელიც ყოველწლიურად უშვებს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთ, რომლებიც, ამავე დროს, ტექნიკურად საკმაოდ სრულყოფილ, პერსპექტიულ მოთხილამურეებად გვევლინებიან. ცხოვრების დიდ გზაზე გამოსულთა ნაწილი აქვე რჩება, ნაწილი კი საქართველოს სხვა კუთხეებში „იგზავნება სარეალიზაციოდ“: ვინ უმაღლეს სასწავლებელში განაგრძობს სწავლას, ვინ მუშაობას იწყებს რესპუბლიკის სხვადასხვა საწარმოში.

დიდი ხნის ისტორია აქვს ბაკურიანის საშუალო სკოლას. დაბის ბავშვების აღზრდას აგერ უკვე რამდენი წელია ერთგულად ემსახურება დირექტორი ა. ცქიტიშვილი. ბევრი მისი ყოფილი მოსწავლე ახლა მხარში უდგას დავწელმოსილ ხელმძღვანელს — სხვადასხვა საგანს ასწავლის. მაგრამ ჩვენ ვისაუბრებთ მხოლოდ იმ სამ პედაგოგზე, რომლებიც შეხმატკბილებულად ემსახურებიან ერთ დიდ საქმეს — ბავშვთა ფიზიკურ აღზრდას. ნაყოფი დიდებულია: სკოლას საქვეყნოდ გაეთქვა სახელი.

...სულ რაღაც 7-8 წლის წინ საქართველოს საუკეთესო სპორტსმენებად ითვლებოდნენ ამავე სკოლის კურსდამთავრებულნი — სამთო-მოთხილამურეები, ძმები პავლე და სულიკო კოზანაშვილები და მორბენალი ნიკოლოზ თვაური. ძმები სსრ კავშირის სოფლის სპორტსმენთა ტურნირებშიც წარმატებით გამოდიოდნენ, იყვნენ

ჩემპიონები და პრიზიორები. ახლა ეს სამეული ნაყოფიერად ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას.

მასწავლებელთა ნათხილამურევს ბევრი მათი მოწაფე გაჰყვა, და სასახელოდაც! ბაკურიანის საშუალოსკოლელებს განსაკუთრებული წარმატება ხვდათ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადაში, რომელშიც პავლესა და ნიკოლოზის ბევრი აღზრდილი მონაწილეობდა. მათ ღირსეულად დააფასეს მწვრთნელების ამაგი: ი. ჯანგობეგოვმა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო სპეციალურ სლალომში, შ. კოზანაშვილი და გ. აბრამიშვილი სპორტის ოსტატები გახდნენ, სამთო-მოთხილამურეთა გუნდმა კი V ადგილი მოიპოვა. მეორე ჩემპიონი „იშვა“ ტრამპლინიდან ხტობაში. ეს იყო კობა წაქაძე, რომელსაც კარგად აუბეს მხარი თანაგუნდელებმა და გუნდური III ადგილი დაისაკუთრეს. პ. კოზანაშვილსა და ნ. თვაურს სწორედ ამ წარმატებებისთვის მიეკუთვნათ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ზამთრის II სპარტაკიადისათვის მზადებაში განვლო ოთხმა წელმა. ამ დროისთვის პავლე, მართალია, „დინამოში“ გადავიდა, მაგრამ სკოლას როდი ჩამოშორდა. ნორჩ დინამოელთა მწვრთნელი კვლავინდებურად მოწაფეებში ტრიალებს. ნიკოლოზი და სულიკო კი მთელ ძალ-ღონეს კვლავ სკოლას ახმარენ.

ამ სასწავლებლის კოლექტივის შრომის ნაყოფზე შესანიშნავად მეტყველებს საქართველოს ზამთრის II სპარტაკიადის ოქმები და შედეგები. შეჯიბრებებში მონაწილეობდა ბაკურიანის საშუალო სკოლის 70 აღზრდილი და აღსაზრდელი: ქუთაისის ღირსებას იცავდა სპორტის ოსტატი ლიანა გოგოლაძე, სამხრეთ ოსეთის გუნდს საკმაო ქულები შესძინეს ნ. კოზანაშვილმა და გ. სანაკოევმა, 20 მოთხილამურე გამოდიოდა თბილისის კოლექტივში, ბორჯომის გუნდში კი 35 ბაკურიანელი იყო, რომელთა დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არ გაუშვია ხელიდან მოსწავლის ჩანთა.

წლეულსაც ასახელეს ბაკურიანელებმა მშობლიური სკოლა: რეპუბლიკის ზამთრის სპარტაკიადაში სამმა მოსწავლემ—მეთერთმეტეკლასელმა იოსებ ნასყიდაშვილმა, მეცხრეკლასელებმა ელზა გავამ და მედეა თვაურმა შეასრულეს ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი, ხუთმა კი — მოზრდილთა I თანრიგისა. ბორჯომის ჰოკეისტთა გუნდი, რომელმაც სპარტაკიადაში II ადგილი დაისაკუთრა, მთლიანად ამ სკოლის ბავშვებით იყო დაკომპლექტებული.

დასასრულ ერთ ფაქტს დავამატებთ და სურათიც უფრო ნათელი გახდება: ბოლო 5 წლის განმავლობაში ამ სკოლის აღსაზრდელთაგან 11 გახდა სპორტის ოსტატი, 9 — ოსტატობის კანდიდატი. პირველთანრიგოსნებს კი ვინ მოთვლის!..

სპარტაკიადა დამთავრდა, მაგრამ სამჭედლოში მუშაობა გრძელდება — სკოლაში კვლავ ძალუმად ჩქეფს მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა. ჯან-ღონით სავსე მოსწავლეები ისევ ლაღად დასრიალებენ თოვლიან ბილიკებზე, მერე კი, როცა ძალაში შევა ზაფხულის სეზონი, ისინი ვარჯიშს სხვა სახეობებში განაგრძობენ. აქ არიან კარგი ფეხბურთელები, კალათბურთელები და მძლეოსნები, რომლებიც ტოლს არ უდებენ რაიონის საუკეთესო გუნდებს, ტურიზმში კი ბადალი არა ჰყავთ.

**ო. გელაშვილი.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ბაკურიანი.

* * *

**სურათებზე:** ბაკურიანის საშუალო სკოლის სამთო-მოთხილამურენი (ზევიდან ქვევით) — ი. ნასყიდაშვილი, ნ. თვაურის ვაჟი — მერვეკლასელი დიმიტრი და მეთერთმეტეკლასელი ვ. მიქაბერიძე ასპარეზობის დროს.

ფოტო ავტორისა.

# ფოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ლელობურთში** — მ. თოფურიძეს, ჯ. ჭოხონელიძეს, გ. ჩიკვაიძეს, ა. ლობჟანიძეს, ვ. ფეტვიაშვილს, თ. ოქროაშვილს, ვ. სვანიძეს, რ. ენუქიძეს, ი. კიზირიას, ო. ელოშვილს, ნ. რუსიაშვილს, ო. ბურკვაძეს, ს. გოგლიძეს, ს. აროიანცს, ვ. კორნევს, გ. ტონიას, ზ. მგელაძეს, ვ. რაფავას, ნ. ყიფიანს (ყველანი — თბილისის „ბურევესტნიკი“), ვ. გიორგაძეს, ა. მინდაძეს, თ. ცინცაძეს, მ. მინდაძეს (ყველანი — ჩოხატაურის „კოლმეურნე“).

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ფეხბურთში** — თ. ერგემლიძეს (ტყიბულის „სპარტაკი“), რ. ლაზიშვილს (ბათუმის „განთიადი“), ა. ხარატიშვილს (თბილისის „ლოკომოტივი“): **ჩოგბურთში** — რ. დარჩიას (ჩაქვის „კოლმეურნე“); **შაშში** — ვ. ვინიკს (თბილისის „განთიადი“); **ტყვიით სროლაში** — ნ. სევასტიანოვს (ბათუმის „დინამო“).

# პირველად...

ბოლო დროს ქუთაისის სპორტის მოყვარულთა შორის სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს სამბო. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მოსწავლე ახალგაზრდობაში.

და აი, ამას წინათ გაიმართა ჭაბუკ სამბისტთა I საქალაქო შეჯიბრება. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. ასლანიანცმა („სპარტაკი“), რ. გაგოშიძემ (განათლების განყოფილება), ე. გოგოშვილმა, რ. ახდიულაძემ (ორივენი — „განთიადი“), მ. კოლუმბეკოვმა („სპარტაკი“), შ. ხოხობაშვილმა, ო. ბაჯაძემ (ორივენი — „განთიადი“) და ა. შანიძემ („სპარტაკი“).

იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს შეჯიბრება მომავალ საინტერესო ღონისძიებათა დასაბამი იქნება.

**შ. ნიშარაძე,**
**ი. კოკუაშვილი.**

ქუთაისი.

# თასი პირველი მისამართი



„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში მოსკოვიდან მოსული ამანათი გახსნეს. მასში ბროლის თასი, ვიმპელი და სიგელები აღმოჩნდა. ეს გარდამავალი ჯილდო შარშან დაწესა პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭომ იმათთვის, ვინც უკეთესად დააყენებდა პიონერთა ბანაკებში ცურვის მასობრივად სწავლებას.

თბილისის „განთიადის“ აუზში 4 რაიონული და 15 ეზოს პიონერთა ბანაკები ჩაება ამ უმნიშვნელოვანეს აქციაში. ბავშვებთან საზოგადოებრივი დატვირთვით მუშაობდნენ მწვრთნელები: სპორტის ოსტატი ზ. გვასალია, პირველთანრიგოსნები რ. ზარიძე და ა. აკოფოვი, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები მ. ბოკორიშვილი, თ. დვინერია, გ. გაგოშიძე და სხვ. საჩვენებელი მეცადინეობა ჩაატარეს სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ლ. იოაკიმიდიმ და რესპუბლიკის მთავარმა მწვრთნელმა ცურვაში ს. კალანდაძემ.

ორ თვეს არ განელებულა ენერგიული შრომა. მერე დაიწყო კონკურსის I ეტაპის შეჯიბრებები, სადაც დაწინაურდა პიონერთა ბანაკი „მეგობრობა“. მან რესპუბლიკაში დაიკავა I ადგილი და თასიც მოიპოვა. შემდეგ იგი საკავშირო გამოცდაზე წარსდგა და იქაც უძლიერესად იქნა აღიარებული. ამრიგად, საკავშირო გარდამავალი თასი პირველად თბილისში, „განთიადის“ საცურაო აუზის მისამართზე გაეწერა, ხოლო საზოგადოებრივ მწვრთნელთა და ორგანიზატორთა ჯგუფი დაჯილდოდა საკავშირო პროფსაბჭოს სიგელებით.

ჩვენ ვთხოვეთ აუზის დირექტორს ო. ახობაძეს აზრი გამოეთქვა საზოგადოებრივ საწყისებზე პიონერთა და მოსწავლეთა ცურვის მასობრივად სწავლების მომავალ გეგმებზე:

— ახლახან დავბრუნდი ლენინგრადიდან, სადაც საუკეთესო საცურაო აუზების ხელმძღვანელთა საკავშირო სემინარი მიმდინარეობდა. იქ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნა მოზარდთა შორის ცურვის მასობრივად სწავლების აუცილებლობა. ჩვენ განზრახული გვაქვს კვლავაც გულმოდგინედ ვიმუშაოთ ამ მხრივ. საკავშირო თასის მოპოვება ბევრს გვავალებს. შევინარჩუნოთ იგი — აი, ჩვენი სადღეისო ამოცანა.

**ბ. თურმანაული.**

* * *

**სურათზე:** საკავშირო და რესპუბლიკურ კონკურსებში „განთიადის“ აუზის მიერ მოპოვებული თასები.

# დიად თარიღს უძღვნა



ტყვარჩელელი ვ. სავჩენკო საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნისას დაინტერესებულა საჭადრაკო კომპოზიციით, კერძოდ, ამოცანების შედგენით. რსფსრ-ს კონკურსში ამ კომპოზიტორის ორსვლიანი ამოცანა ჯილდოთი აღინიშნა. დემობილიზაციის შემდეგ ვ. სავჩენკო განაგრძობს კომპოზიციაში ინტენსიურ მუშაობას.

აი, ვ. სავჩენკოს ახალი ამოცანა. საინტერესოა, რომ ამოხსნის ერთ-ერთ ვარიანტში ავტორმა გამოსახა ციფრი 45 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 45 წლისთავის თარიღი.

**შამათი 5 სვლაში**

* * *

ჩვენი გაზეთის 16 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული მ. აზრუმელაშვილის (თბილისი) ამოცანა სწორად ამოხსნეს: მ. დოლიძემ (ახალციხე) და გ. ქადაგიძემ (თბილისი). ამოცანის პასუხია: 1. მფხ7.

# ყოველი მსრიდან

- ვინ არის დამნაშავე?
- ჯიბგირს — ჩამოსრჩობა!

## სპორტსმენის სიცოცხლე საფრთხეშია

მთელი მსოფლიოს სპორტული პრესა კვლავ აქვეყნებს ცნობას ტრაგიკულ შემთხვევაზე, რომელიც კორტინა დ'ამპეცოში ბობსლეისტთა მსოფლიო პირველობის დროს მოხდა. ბავარიის ქალაქ ოლშტადტში ტონი პენსბერგერის დასაფლავებაზე ჩავიდნენ ევროპის უძლიერესი ბობსლეისტები. ტონის ექვს თანაკლუბელს მოკქონდა კუბო. ცხედართან ერთად კუბოში იყო მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალი, რომელიც დაღუპული ბობსლეისტის გუნდს გადაეცა კორტინა დ'ამპეცოში. გადაეცა მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატი გლოვის გამო შეწყდა.

იმავე ღღეს გაზეთებში შეგეძლოთ წაგეკითხთათ მეორე სამწუხარო ცნობა: ტონის თანაგუნდელი ლ. ზიბერტი სულ უფრო უარესად ხდებაო. ცნობილი იტალიელი ქირურგის ჯიოვანი მალაგოს კერძო კლინიკის ექიმები იბრძვიან სპორტსმენის სიცოცხლისთვის, რომელსაც, როგორც ტონის, 26 წელი შეუსრულდა. პირველი ცნობა — ზიბერტმა კატასტროფის დროს მოიტეხა ფეხი და ბარძაყიო, არასრული აღმოჩნდა. სპორტსმენს სერიოზულად დაუშავდა ხერხემალიც, რამაც დაუყოვნებლივი ოპერაცია გამოიწვია. მაშინაც კი, თუ ზიბერტი ცოცხალი დარჩა, მას სრული დამბლა ემუქრება.

ვინ არის დამნაშავე? პენსბერგერის დასაფლავებისას ბობსლეისტთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენელმა, ავსტრიელმა ი. შტიურერმა განსვენებულის საფლავზე თქვა:

„შენ არ დაგიშავია არც ერთი შეცდომა. ეს უბრალოდ ბედის მწარე ხვედრი იყო“.

მაგრამ სპორტსმენის დაღუპვის მიზეზად „ხვედრის“ მოტანა ყველას როდი აკმაყოფილებს. ევროპის ბევრი ბობსლეისტი მკაცრად ილაშქრებს „გიჟური ტრასების პრაქტიკის“ წინააღმდეგ, რომლებზეც სპორტსმენები განსაცდელში აგდებენ თავიანთ თავს და ხეიბრდებიან“.

## „მეფე“... და ქურდი

ბრაზილიის „სანტოსმა“ რამდენიმე მატჩი გამართა პერუში. ბოლოს მან ითამაშა ქ. არეკიპის კლუბთან. თვითმფრინავი, რომელშიც სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელები ისხდნენ, ის-ის იყო მიწაზე დაეშვა, რომ მას გარს შემოერტყა გულშემატკივართა უზარმაზარი ბრბო. სპორტსმენები ხელში აიტაცეს და ისე ჩაიყვანეს მიწაზე. რასაკვირველია, განსაკუთრებული აჟიოტაჟი გაიმართა „სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის უბადლო მეფის“ (ასე უწოდა პერუს პრესამ სახელმოხვეჭილ პელეს) გარშემო.

თვით „მეფე“ კი რატომღაც უცნაურად მოიქცა: მოუბრუნდა ერთ-ერთ თაყვანისმცემელს და უეცრად კარგა მაგრად გაარტყა მუშტი ყბაში. გულშემატკივარი მიწაზე გაიშხლართა (როგორც ჩანს, პელე ხელებს ფეხებზე ნაკლებად როდი ხმარობს!).

გაშტერებული გულშემატკივრები გაშეშდნენ. მაგრამ ყველაფერი მალე გაირკვა. თუმცა ნუ იტყვით, აეროდრომზე თავყრილობით უსარგებლია... ჯიბგირს. მას უკვე მოეპარა პელეს საფულე და საათის შეხსნასაც ლამობდა. ფეხბურთელმა ეს იგრძნო და საკადრისი პასუხიც მიუზღო ქურდს.

ზემოთქმულს ისღა უნდა დავუმატოთ, რომ გულშემატკივართა ბრბომ კინაღამ ჩაქოლა ქურდი, რომელმაც ხელყო „მეფის“ პიროვნება. ჯიბგირი გადაარჩინა პოლიციამ. სხვათა შორის, პერუს ერთ-ერთმა გაზეთმა ხავსებით სერიოზულად მოითხოვა: „...სალახანას მიესაჯოს სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით, ვინაიდან მან შეარცხვინა ჩვენი ქვეყანა საფეხბურთო სამყაროს წინაშე, მკრეხელობა გამოიჩინა და შებღალა სათაყვანო ადამიანი“.

ვეხმაურებით ვ. მდივნის წერილს „შედეგები, პრობლემები...“

# პრეტენზიები, შეცდომები...

ა. კოტრიკაძე,
თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი.

„ლელომ“ საჭიროდ ჩათვალა ადგილი დაეთმო ვ. მდივნის სტატიისთვის „შედეგები, პრობლემები...“ იმ ვარაუდით, რომ იგი გამოიწვევდა დისკუსიას ფეხბურთის სპეციალისტთა შორის.

ამ წამოწყების სარგებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია. რაც უკეთ გაერკვევა მაყურებელი ფეხბურთში, მით უმჯობესია გუნდისთვის. ცნობილია, რომ ყველა მათგანს არა აქვს საშუალება გაზეთის მეშვეობით გამოთქვას თავისი აზრი და ამიტომ ხშირად ტრიბუნებიდან სტკვენით გადმოგვცემს მათ. სწორედ გულშემატკივართა გარკვევა ფეხბურთის საკითხებში უნდა იყოს ჩვენი დისკუსიის მთავარი შედეგი, რამდენადაც იგი საჯაროდ მიმდინარეობს. არანაკლებ სარგებლობას მოუტანს ის სპეციალისტებსაც. აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაამდიდრებს მათ, გათავისუფლებს ბევრი მცდარი შეხედულებისაგან, შესძენს ახალ, სწორ წარმოდგენას და ა. შ. ასეა თუ ისე, ერთი რამ უდავოა: დისკუსიის შედეგად ყველას შეემატება ცოდნა, დაწყებული მისი წამოწყებიდან, დამთავრებული უკანასკნელი სტატიის ავტორით.

ვ. მდივნის წერილში სადისკუსიო ბევრი რამაა. იმდენად ბევრი, რომ კაცი, რომელსაც ავტორის სხვა ნაწერები არ წაუკითხავს, იფიქრებს სტატია განგებაა ისე დაწერილი, რომ რაც შეიძლება მეტი სიმწვავე შემატოს დისკუსიას. სადავოა არა მარტო მისი ძირითადი დებულებანი, არა მარტო ქედმაღლური და უაპელაციო ტონი, რომლითაც ავტორი დემაგოგიურ მტკიცებებს გადმოგვცემს და რომელიც ავტორის ჭარბ პრეტენზიებზე მეტყველებს. სადავოა თვით სტატიის სახელწოდებაც, ვინაიდან თუ გასული ჩემპიონატის შედეგებში მასში ზუსტადაა გადმოცემული, ამას ვერ ვიტყვით პრობლემებზე. მათი უმეტესობა სტატიის ავტორს უნდა უმადლოდეს არამც თუ სამსჯავროზე გამოტანას, არამედ თვით წარმოშობასაც კი, ვინაიდან ისინი არსად, გარდა თვით სტატიისა, არ არსებობენ (ზოგიერთ მათგანზე უკვე წერდა გ. კაჩაღინი თავის წერილში).

როცა სტატიას ბოლომდე წაიკითხავ, ცდუნება გიპყრობს, გინდა მის სათაურში დასმული მრავალწერტილი შეცვალო სიტყვით „რჩევა-დარიგებანი“, რომლებსაც ავტორი უხვად და დაუმადლებლად იძლევა. იმდენად უხვად, რომ გიჭირს დაძლიო გაკვირვების გრძნობა. თანაც როგორი რჩევა-დარიგებებია, როგორი დამრიგებლური კილო! მათ შორის ისეთებზე, რომლებიც მცდარია, ქვემოთ გვექნება უფრო დაწვრილებით საუბარი, აქ კი მიდგა ავტორის ისეთი რჩევა და აზრები მოვიხსენიო, რომელთა ანბანური ჭეშმარიტება საეჭვოდ ხდის თვით სტატიის დაწერის მიზანს. „ვისაც არ შეუძლია ისწავლოს სხვისგან, ის შორს ვერ წავა“, „პერსონალური დაცვა დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა“, „ფეხბურთელს აუცილებლად სჭირდება დიდი შრომისუნარიანობა“, — სავსებით სერიოზულად გვასწავლის ვ. მდივანი. რატომ ჭკონია ავტორს, რომ ეს აქამდე არ იყო ცნობილი? თუ მას უნდა შექმნას აზრი, ვითომ ვინმეს ედავება ასეთ საყოველთაოდ აღიარებულ დებულებებს? რა მიზანი აქვს ღია კარის შემტვრევის მრავალჯერად ცდას? რა არის ეს? ფეხბურთის სპეციალისტთა დისკრედიტაცია? საკუთარი განსწავლულობის პროპაგანდა? თუ ასეა, ამ მიზანთაგან რომელი ემსახურება ქართული ფეხბურთის ინტერესებს?

როცა ვ. მდივანი ამტკიცებს, მაგალითად, რომ არსებობს შრომისმოყვარეობის გამომმუშავებელი სპეციალური ვარჯიშები, ბუნებრივია, იძულებული ხარ გაიმეორო ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ შრომისმოყვარეობა სხვაა და შრომისუნარიანობა — სხვა.

რა მიზანი აქვს არარსებულ „შეცდომათა“ ხელოვნურად შექმნას და მერე მათთან „ბრძოლას“?

სოლომონ ზურგიელიძის აფორიზმები მხიარულ ღიმილს იწვევდა, ვინაიდან ხუმრობით იყო ნათქვამი. ღიმილსვე გამოიწვევდა სპეციალისტთა წრეში ვინმეს რომ სერიოზულად დაეწყო მტკიცება წაგებას მოგება ჯობს და ბურთების გაშვებას — ბურთების გატანაო. მაგრამ, როცა თითქმის მსგავს ამბავს ამტკიცებენ იუმორის გარეშე, საჯაროდ, ირონიული ღიმილით დაკმაყოფილება უპასუხისმგებლობა იქნებოდა. ყველამ ხომ არ იცის ჩვენს ფეხბურთში არსებული ნამდვილი მდგომარეობა და შეიძლება უსწორო წარმოდგენა შეიქმნას.

„ფეხბურთელის ოსტატობა წარმოადგენს მრავალი თვისების, უნარისა და ჩვევის ნაერთს და მათი შინარჩენებისა და სრულყოფისთვის სპორტსმენი ვალდებულია სისტემატურად ავარჯიშებდეს ამ კომპონენტებს ელემენტებისა და კომპლექსების სახით, რეგულარულად „იზეპირებდეს“ მათ. ამასთან, ყოველივე ეს უნდა მოხდეს ისეთი დოზებით, რომ ფეხბურთელმა სრულფასოვნად აღიდგინოს, განიმტკიცოს და განავითაროს თავისი ოსტატობის არსენალის ყველა ეს „იარაღი“, — წერს ვ. მდივანი.

თუ ამ ძნელად აღსაქმელ წინადადებაში გავშიფრავთ სიტყვებს: „მათი“, „იარაღი“, „კომპონენტები“, მივიღებთ აბრაკადაბრას: ფეხბურთელის ოსტატობა წარმოადგენს მრავალი თვისების, უნარისა და ჩვევის ნაერთს და (მათი) ამ თვისებების უნარისა და ჩვევების შინარჩენებისა და სრულყოფისთვის სპორტსმენი ვალდებულია სისტემატურად ავარჯიშებდეს ამ კომპონენტებს (თვისებებს, უნარს და ჩვევებს, ელემენტებისა და კომპლექსების სახით, რეგულარულად „იზეპირებდეს“ (მათ) თვისებებს, უნარს და ჩვევებს, ამასთან, ყოველივე ეს უნდა მოხდეს ისეთი დოზებით, რომ ფეხბურთელმა სრულფასოვნად აღიდგინოს, განიმტკიცოს და განავითაროს თავისი (ოსტატობის) მრავალი თვისების, უნარისა და ჩვევის ნაერთის არსენალის ყველა ეს („იარაღი“) თვისება, უნარი და ჩვევა.

საკმარისია ეს მსჯელობა გათავისუფლდეს მისი უაზრობის შემნიღბველი ატრიბუტებისაგან და მივიღებთ შემდეგ მტკიცებას: ოსტატობის სრულყოფისთვის სპორტსმენმა უნდა ავარჯიშოს ოსტატობა და ამასთან ისეთი დოზებით, რომ სრულფასოვნად აღიდგინოს და განიმტკიცოს ოსტატობის არსენალის ოსტატობა.

ხომ კარგია?! ხომ ზედმიწევნით ნათელი და სასარგებლო აზრია? და-აი, ამ „ბრძნული“ რჩევის ავტორს ყოფნის სითამამე, რომ თავისი სტატიის ერთ-ერთ ადგილას ლოგიკას შესჩივლოს და პათეტიურად იკითხოს: „სად არის ლოგიკა?“

კიდევ ერთი მაგალითი:

„ისინი (ლაპარაკია თბილისის დინამოელებზე) ნაკლებად გამოირჩევიან თამაშის საერთო მოძრაობით, სადაც ძნელი გასარკვევია ხოლმე, ვინაა ბურთით და ვინ — უბურთოდ, სადაც ნაკლებია ცრუ გადანაცვლებანი, გასვლა თავისუფალ ადგილზე (ხაზგასმა ჩემია — ა. კ.), სადაც არის შესაძლებლობა მიიღო მოქმედების თავისუფლება და გაიხსნა ბურთის მისაღებად“.

ეს რა, ისეთ თამაშშია ნაკლები ცრუ გადანაცვლებები და თავისუფალ ადგილზე გასვლები, რომელიც საერთო მოძრაობით ხასიათდება და რომლის დროსაც ძნელი გასარკვევია, თუ ვინაა ბურთით და ვინ — უბურთოდ?! იქნებ პირიქით?

წვრთნა, წვრთნა და კიდევ წვრთნა— ამ ლოზუნგით იწყება სადისკუსიო სტატიის ერთ-ერთი ნაწილი. მართალია, აქამდე ჯერ არავის მოფიქრებია ესოდენ ხმამაღლა და საკუთარი სიტყვების მნიშვნელობაში დარწმუნებით გამოეთქვა თავისი კატეგორიული შეხედულება წვრთნის აუცილებლობაზე, მაგრამ სიმართლეს თუ არ ვეღალატებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ სტატიის ავტორი მაინც არ არის პირველი, ვინც წვრთნის აუცილებლობა შენიშნა. ამიტომ საეჭვოა, რომ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტების მხოლოდ გამოთქმის ახლებურმა ფორმამ და კიდევ უზრუნველყოს ისტორიული უკვდავება. ეს არაა სადავო. სამაგიეროდ, სადავოა, და ფრიადაც, ის აზრები, რომლებსაც წვრთნის ირგვლივ ავითარებს ვ. მდივანი. აქ ლაპარაკია, რასაკვირველია, არა ისეთებზე, როგორიცაა ზემოთ მოყვანილი „ფეხბურთელს აუცილებლად სჭირდება დიდი შრომისუნარიანობა“ და არც ისეთებზეც კი, როგორიცაა „ფეხბურთში, როგორც არსადროს, ახლა საჭიროა სისტემატური შრომა“. თუმცა, გულახდილად რომ ვთქვა, მე არ ვიცი როდის იყო ფეხბურთში ნაკლებად საჭირო სისტემატური შრომა და რა იყო ამის მიზეზი. სადავოა ვ. მდივნის ძირითადი აზრი 4-საათიანი სავალდებულო ვარჯიშის შესახებ და ყველა დანარჩენი აზრი და შეხედულება, რომელთა მიზანი ამ დედააზრის გამართლებაა.

თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელების მიერ გუნდის მომზადებაში დაშვებული შეცდომები რომ ერთ-ერთი მიზეზი იყო გუნდის წარუმატებლობისა, ეს ფაქტია. მაგრამ ეს შეცდომები იმ ხასიათისა არ იყო, როგორც ვ. მდივანს მიაჩნია, ან სურს სხვამ რომ მიიჩნიოს.

მცდარია აზრი, თითქოს ყველა გუნდი, დამოუკიდებლად ტექნიკური დონისა, ჰავისა, ან სხვა რაიმე სპეციფიკური პირობებისა, მთელი სეზონის მანძილზე 4-4 საათს უნდა ვარჯიშობდეს ყოველდღე. ასეთი აზრი ეპატიება დილეტანტს, რომელიც ფეხბურთს მხოლოდ ტრიბუნებიდან მიღებული შთაბეჭდილებებით იცნობს, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ვ. მდივანი ასეთთა რიცხვს არ მიაკუთვნებს თავის თავს. ყოველ შემთხვევაში, მისი ლიტერატურული მოღვაწეობა და, კერძოდ, სადისკუსიო სტატია, არაორაზროვნად აცხადებს პრეტენზიებს გაცილებით მეტზე. მაშ, რაშია საქმე? ალბათ, იმაში, რომ მატჩების ნახვიდ (მინდორზე თუ ტელევიზიით), საფეხბურთო ანგარიშების თუ სპეციალური ლიტერატურის კითხვით, ძნელია ფეხბურთზე სწორი და სრული წარმოდგენის შექმნა. არ ვდავობ, ალბათ, ასეთი მარაგითაც შეიძლება საწერ მაგიდასთან წვალებით შექმნა რაიმე თეორია და მეთოდური მითითება, მაგრამ არ შეიძლება მათი შემოწმებისთვის გაიმეტო გუნდი, მით უმეტეს, ისეთი, როგორიცაა თბილისის „დინამო“. ვისაც თვით უთამაშია ფეხბურთი, ვისაც უვარჯიშია ან თუნდაც სხვისი ვარჯიშისათვის უყურებია სისტემატურად, მან კარგად იცის, თუ რას წარმოადგენს ფეხბურთელის შრომა და მხარს არ დაუჭერს დატვირთვების მკვეთრ ამაღლებას, ვინაიდან ესმის, რომ ასეთ ნაბიჯს წინ ეღობება არა მარტო ფიზიკური და ფიზიოლოგიური, არამედ ფსიქოლოგიური ზღუდეც. მსოფლიოს გამოჩენილი მწვრთნელებისა და მათი გუნდების გამოცდილება დასტურებს ამ აზრის სისწორეს.

ცალკე უნდა ითქვას დღეში ორჯერადი ვარჯიშის ჩატარების თაობაზე. თუ რა შედეგი ექნება ამას საექიმო თვალსაზრისით, როცა ცნობილია, რომ ვარჯიშის დროს ფეხბურთელის წნევა 200-220-მდე აღწევს, მაჯისცემა 150-190-მდე და რომ ვარჯიშის პროცესში ფეხბურთელი საშუალოდ 2,5 კგ-ს იკლებს, ამაზე აზრს სპეციალისტები გამოთქვამენ. მე კი მინდა ერთი ფაქტი მოვიყვანო: 1964 წელს მ. იაკუშინმა ლესელიძეში შეკრების დროს სცადა დღეში 2 ვარჯიში ჩაეტარებინა, მაგრამ მალე იძულებული იყო თავი დაენებებინა ამ წამოწყებისთვის, ვინაიდან ჩვენმა ფეხბურთელებმა მ ა შ ინ ვერ გამოიჩინეს ძალების განაწილების უნარი: დილის ვარჯიშზე ბურთთან გაუმაძღარი და ხარბი მუშაობის შედეგად ისინი ხარჯავდნენ იმდენ ენერგიას, რომ საღამოსთვის აღარაფერი რჩებოდათ. ამით მე ოდნავადაც არ ვუარყობ საერთოდ დღეში ორჯერადი ვარჯიშის საჭიროებას, მაგრამ ამისთვის აუცილებელია გავითვალისწინოთ მოთამაშეთა ფიზიკური მომზადება, ფსიქოლოგიური მდგომარეობა და სხვა ფაქტორები კონკრეტულად იმ დროისთვის.

ორიოდე სიტყვა საქართველოს ჰავისა და მისი გავლენის შესახებ წვრთნაზე. თუ შეგნებულად ან უვიცობით ერთმანეთში არ აკეცავ [illegible] პერიოდის ხანგრძლივობა [illegible] ული წვრთნის [illegible] ფაქტი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ კლიმატი იძლევა იმის საშუალებას, რომ ჰაერზე ვივარჯიშოთ დეკემბერში და იანვარშიც (როგორც, მაგალითად, ახლაც ვაკეთებთ), მაგრამ არა ამის საშუალებას, რომ დატვირთვების გაზრდა ჩვენთან უფრო უმტკივნეულოდ მოხდეს, ვიდრე ჩრდილოეთში. ვინძლო, პირიქით იყოს. მართალია ავტორს მიაჩნია, რომ მაღალი ტემპერატურის პირობებში ფეხბურთელის დატვირთვის საკითხია შეუსწავლელობამ ვერ უნდა დააბრკოლოს დატვირთვების მკვეთრი გაზრდა, მაგრამ მიუზღავთ რა სათანადოს ავტორს ამ ინტეტიური დასკვნის სითამამისა და აჩქარებულობისთვის, ვერ გავიზიარებთ მას. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია საკითხის ამომწურავი შესწავლა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმამდე, ვინაიდან უარყოფითი შედეგების შემთხვევაში სამართლიანი იქნებოდა ამ ჩვენი ავანტიურის გაკიცხვა და საქმეს ვერც მორიგი სტატია უშველიდა, რომელშიც იგივე ვ. მდივანი დაგვდებდა ბრალს, ამჯერად, ფეხბურთელთა გადაღლაში. გადაღლა და მის შედეგად ფეხბურთელის მწყობრიდან გამოყვანა რომ შესაძლებელია, ამის მაგალითები თვით ჩვენი გუნდის ახლო ისტორიაშიც მოიძებნება. რამდენმა საუკეთესო ფეხბურთელმა დაანება თამაშს თავი გადატვირთვის და მისი მავნე შედეგების გამო! ეს მეტად მწარე გაკვეთილებია, რომ მათი გამორჩება ღირდეს თუნდაც ისეთი საჭირო საქმისთვისაც კი, როგორიცაა მეთოდისტთა გარკვევა ამ საკითხში. თუმცა, როგორც ეს ამას წინათ მოსკოვში ჩატარებულ სემინარზე გამოვლინდა, ამ მხრივ სავსებით ნათელი აზრი არსებობს ფეხბურთის გამოჩენილ სპეციალისტთა შორის და სრულიად ზედმეტია რაიმე ექსპერიმენტის ჩატარება. დადგინდა, რომ გუნდებს არ მიეცეთ არავითარი სავალდებულო მითითებანი და შეექმნათ სრული შემოქმედებითი თავისუფლება კონკრეტული პირობების (ჰავის, მოთამაშეთა ტექნიკური დონის და ა. შ.) გათვალისწინებით. პრაქტიკამ არაერთგზის დაამტკიცა მხოლოდ დატვირთვების გაზრდაზე დამყარებული მოლოდინისა და იმედების უსაფუძვლობა. თუ ჩვენ მართლაც შარშანდელ წარუმატებლობათა მიზეზების დადგენა და მათი ლიკვიდაცია გვაინტერესებს, მაშინ სერიოზულობა და აუჩქარებლობაა საჭირო დასკვნების გამოტანისას, ხოლო თუ მიზნად ისა გვაქვს, რომ როგორმე საწვრთნელ დატვირთვათა მკვეთრი ამაღლება გავამართლოთ, მაშინ როსტოვის გუნდთან თამაშის დროს ოთხ წუთში 2 ბურთის გაშვებასაც დაღლილობით ავხსნით და იმასაც კი ვიტყვით, რომ თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდობა სისწრაფესთან უხეირო დამოკიდებულებაშია და, ეტყობა, ეს ცუდი მუშაობის ბრალიაო.

(გაგრძელება იქნება).



სამტრედიის რკინიგზის მე-13 სკოლის მეთერთმეტეკლასელი თ. სტურუა მოწინავეა როგორც სწავლაში, ისე სპორტში. პირველთანრიგოსანი ტანმოვარჯიშე ახლა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივის შესასრულებლად ემზადება.

სურათზე: თ. სტურუა დვირზე ვარჯიშის დროს.

ფოტო გ. ჯაველიძისა.

ქართულ სპორტს დიდად გაუთქვა სახელი ნონა გაფრინდაშვილმა. მსოფლიოს პირველი ჩემპიონის ვ. მენჩიკისა არ იყოს, იგი სისტემატურად „ბედავს“ ვაუთა ტურნირებში თამაშს და საპატიო შედეგებსაც აღწევს. ამიტომაა, რომ ნონას ვაუებთან საასპარეზოდ მუდამ ეპატიჟებიან ინგლისსა და ჰოლანდიაში...

ამ სურათზე თქვენ ხედავთ მსოფლიო ჩემპიონს ზვოლეს ვაუთა საერთაშორისო ტურნირის I ტურის წინ. მის პირდაპირ ზის ბულგარელი დიდოსტატი მ. ბობოცოვი. ხვლას აკეთებს ტურნირის მომწყობი, ადგილობრივი სამრეწველო ფირმის წარმომადგენელი.

ნონა არ ივიწყებს თამაშს... ქალებთანაც. მარტის დამდეგს იგი გაემგზავრება ბელგრადს, სადაც 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა დიდ საერთაშორისო ტურნირში ითამაშებს.

ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკის მადლცხებულ ნიჭს უსაზღვრო სიხარული მოაქვს ჭადრაკის მოყვარულთათვის. ნონას შემოქმედებითმა ცხოვრებამ მძლავრად დაიწყო ფრთების გაშლა. მას წინ კიდევ ბევრი გამარჯვება ელის სამშობლოს სადიდებლად.

# გუშინ...

სსრ კავშირის პირველობა

## ა. კოვზირიძის რეკორდი



სურათებზე: ზემოთ — მოსკოვისა და თბილისის კალათბურთელთა შეხვედრის მომენტი. სურგულაძე (მარჯვნივ). ზ. ბლოხინაზე ადრე დაეუფლა მაღალ ბურთს; მარჯვნივ — როსტოველმა პლოტნიკოვამ ეს-ეს არის ხელთ იგდო ბურთი და უმალ გარლვევაზე გავიდა. მას გზას უღობავს ლენინგრადელი ხალდეევა. უკანა პლანზეა „ბურევესტნიკის“ გუნდის წევრი ბორისოვა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის II წრის მატჩები. შეჯიბრებაში მონაწილეობენ: მოსკოვისა და ნოვოსიბირსკის „დინამო“, ლენინგრადის ასკ, სვერდლოვსკის „ურალმაში“, როსტოვის „ბურევესტნიკი“ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. დანარჩენი 6 კოლექტივი პირველობისთვის იბრძვის რიგაში.

აი, გუშინდელი მატჩების ტექნიკური შედეგები:

● „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) 51:33 (20:14).

„ურალმაში“: ლ. შვეცოვა (გუნდს შესძინა 14 ქულა), ლ. ედელევა (12), ნ. ფომინიხი (9), ლ. ჩიანოვა (6), ა. ფაიზულინა (4), ე. გრეჩინა (4), ვ. ახდრეევა (2), გ. შალიმოვა.

„დინამო“: ა. ანტიპინა (11), გ. კონოვა (6), ლ. არისტარხოვა (4), ლ. სტეპანოვა (4), ნ. იურეჩკო (4), ი. ბემბუნი (4), გ. მაკარენკო.

მსაჯები — რ. ხომერიკი და მ. ქურიძე (ორივენი — თბილისი).

● ასკ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (როსტოვი) 46:42 (22:21).

ასკ: ა. სუვოროვა (19), ნ. პოზნანსკაია (8), გ. სმირნოვა (8), ლ. ლეონტიევა (6), თ. ხალდეევა (2), ა. პროსვიროვა (2).

„ბურევესტნიკი“: ზ. ბაკალი (18), ლ. სავინა (7), თ. სლიდენკო (6), თ. პლოტნიკოვა (5), ლ. კოტლოვა (4), ლ. ბორისოვა (2), ო. ბელიკოვა, ლ. გერასიმენკო.

მსაჯები — რ. ისააკიანი (ერევანი) და მ. ბაგრატიონი (თბილისი).



● სპი (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 60:59 (28:31).

სპი: ა. კოვზირიძე (24), ლ. ქველიძე (10), ც. ჯანელიძე (9), ვ. სანაძე (7), მ. სურგულაძე (5), ნ. დურმიშიძე (4), გ. გრიგორიანი (1).

„დინამო“: ი. ბლოხინა (14), ე. საპრონოვა (13), გ. ვორონინა (12), ზ. ბლოხინა (10), ლ. ბუბჩიკოვა (8), რ. კოზლოვა (2), ლ. ხომუტოვა, გ. ელიშევა.

მსაჯები — ვ. კოიფმანი (მინსკი) და ი. სილინში (რიგა).

## სამივე მედალი ჩვენია!

ოსლო, 23 თებერვალი. ჰოლმენკოლენში დღეს იყო სველი თოვლი, ქარი და პირქუში, უღიმღამო ცა... აი, ასეთ ვითარებაში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის „მორიგი ნომერი“ — ქალთა რბოლა 5 კილომეტრზე. ეს მძიმე გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა 36 წლის ა. კოლჩინამ (მოსკოვი), რომელმაც ვაუკაცურად ირბინა უაღრესად ძნელ ტრასაზე (17.18,9) და ოქროს მედალი მოიხვეჭა.

ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა სვერდლოვსკელი კ. ბოიარსკიხი (17.25,2), ხოლო ბრინჯაოსი — მოსკოველი რ. აჩკინა (17.42,5). IV ადგილიც ჩვენია: იგი დაიკავა ლენინგრადელმა ე. მეკშილომ — 17.47,3.

V ადგილზეა ახალგაზრდა ბულგარელი კ. სტოევა — ტურინში ამასწინანდელი უნივერსიადის ჩემპიონი.

წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა მოთხილამურე ვაუები 4×10 კმ ესტაფეტაში — მათ დაიკავეს V ადგილი. ამ სახეობაში ჩემპიონები გახდნენ ნორვეგიელები.

## მეცხოვრეობა ნაცნობია, მაგრამ...

ციურიხი, 23 თებერვალი. ევროპის I საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში სსრ კავშირის ნაკრებს მეტოქეებად ეყოლება ავსტრიის, ფინეთისა და საბერძნეთის ეროვნული გუნდები. ასე „გადაწყვიტა“ დღეს აქ გამართულმა კენჭისყრამ.

ახალ ტურნირში სულ ითამაშებს 31 ნაკრები გუნდი (კენჭისყრის წინ ტურნირში გამოსვლაზე უარი თქვა მალტამ).

გუნდები დაყოფილია 8 წინასწარ. ჯგუფად:

I. ესპანეთი, ჩეხოსლოვაკია, ირლანდია, თურქეთი;

II. პორტუგალია, ბულგარეთი, შვეიცია, ნორვეგია;

III. სსრ კავშირი, ავსტრია, ფინეთი, საბერძნეთი;

IV. გფრ, იუგოსლავია, ალბანეთი;

V. უნგრეთი, გდრ, ჰოლანდია, დანია;

VI. შვეიცარია, იტალია, რუმინეთი, კვიპროსი;

VII. საფრანგეთი, ბელგია, პოლონეთი, ლუქსემბურგი;

VIII. ინგლისი, შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია, უელსი.

წინასწარი მატჩები დაიწყება ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე და დასრულდება 1968 წლის 28 თებერვლისთვის. გუნდები ჯგუფებში ერთმანეთს ორ-ორჯერ შეხვდებიან (მინ და გარეთ). ყოველი ჯგუფის უძლიერესი კოლექტივი მოიპოვებს მეოთხედფინალში თამაშის უფლებას.

სსრ კავშირს ნაცნობი მეტოქეები ჰყავს. ფინეთისა და საბერძნეთის გუნდები ორ-ორჯერ დამარცხდნენ ჩვენებთან, მაგრამ აი, ავსტრიელებთან ხუთ მატჩში საბჭოთა ფეხბურთელებმა მხოლოდ ერთხელ (1958 წელს) მიაღწიეს წარმატებას.




◆ ტალინი, 23 თებერვალი. დღეს აქ დამთავრდა სსრ კავშირის უძლიერეს მოცურავეთა ტრადიციული ასპარეზობა „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. „ბრინჯაოს მოცურავე“ მეოთექვსმეტედ გადაეცა „დინამოს“ ნაკრებს, რომელმაც დამაჯერებლად გაუსწრო არმიელ სპორტსმენებს. დამყარებულ იქნა კიდევ რამდენიმე საკავშირო რეკორდი: ლ. ილიჩოვმა (მოსკოვი) 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში აჩვენა 2.01,5; ვ. შუვალოვმა (მოსკოვი) — 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.17,2; ს. ბაბანინამ (ტაშკენტი) — 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 5.35,9, ხოლო თ. სოსნოვამ (მოსკოვი) — 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 10.11,4 (დანარჩენ რეკორდებზე „ლენინი“ ადრე იუწყებოდა). სეზონის დასაწყისისთვის კარგ დროში დაფარა სვეასტოპოლელმა გ. პროზუმენშჩიკოვამ 200 მეტრი ბრასით — 2.47,6. ეს დისტანცია ვაჟთა შორის კარგად გასცურა მსოფლიოს რეკორდსმენმა გ. პროკოპენკომ (ლვოვი) — 2.31,6.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თასის სიურპრიზები

კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ყოველ ახალ ტურს ახალი სიურპრიზები მოაქვს. ჯერ იყო და საერთო გაოცება გამოიწვია თასის ახლანდელი მფლობელის — მადრიდის „რეალის“ მარცხმა ანტვერპენში („რესინგთან“ — 95:104). მაგრამ ვარაუდობდნენ, რომ ამ გუნდების საასუხო მატჩში „რესინგის“ 9-ქულიანი „ფორა“ საერთო წარმატებისთვის უკმარი იქნებოდა: „რეალი“ შინ ხომ დაუმარცხებელ გუნდადაა ცნობილი. ესპანელებმა მართლაც მოიგეს ეს თამაში, მაგრამ... 2-ქულიანი სხვაობით — 101:99. ასე რომ, 2 შეხვედრის ჯამში გამარჯვება ბელგიელებს დარჩათ.

ამავე ჯგუფში მეორე სენსაციის ავტორად მოგვევლინა პრაღის „სლავია“. ბელგიელებთან შედარებით მას გაცილებით უარესი მდგომარეობა ჰქონდა: მილანის „სიმენტალმა“ პირველი მატჩი „სლავიას“ მთელი 19 ქულით მოუგო და თითქოს გაინაღდა კიდეც საერთო გამარჯვება. განმეორებით შეხვედრას იტალიელები ზერელად მიუდგნენ და მწარედაც დაისაჯენ. „სლავიამ“ გამანადგურებელი ანგარიშით მოუგო ორი ამერიკელით გაძლიერებულ „სიმენტალს“ — 82:59.

ამ ნახევარფინალურ ჯგუფში 2 ტურის შემდეგ ოთხივე გუნდს თითო მოგება და თითო წაგება აქვს (საკუთარ და მეტოქის მოედანზე შეხვედრების ჯამში). ვინაიდან ფინალურ სტადიაში გასვლის უფლება მხოლოდ ორ გუნდს ეძლევა, ყველაფერს გადაწყვეტს III ტურის მატჩები, რომლებშიც ერთმანეთს შეხვდებიან „რეალი“ — „სიმენტალი“ და „სლავია“ — „რესინგი“.

დაძაბული მდგომარეობაა იმ ნახევარფინალურ ჯგუფშიც, რომელშიც სსრ კავშირის ჩემპიონი — ცსკა გამოდის. აქაც ყველა გუნდს თითო გამარჯვება აქვს. ცსკა-ს დარჩა 2 მატჩი იუგოსლავიის „ზადართან“, ხოლო ათენის აეკ-ს — „ჩერვენო ზნამიასთან“ (სოფია).

▲ პარიზი. აქ გაიმართა ფრანგბურთელ ვაჟთა ახალგაზრდული გუნდების საერთაშორისო ტურნირი. წარმატებით იასპარეზა გალაცის (რუმინეთი) ნაკრებმა, რომელმაც დაისაკუთრა პარიზის თასი.

▲ ფილადელფია. ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა ახალგაზრდა პუერტორიკოელმა სპორტსმენმა პასარელიმ, რომელმაც ფინალში დაამარცხა ამერიკელი ვში — 4:6, 6:4, 6:1, 8:6. საინტერესოდ წარიმართა ნახევარფინალური შეხვედრებიც, სადაც პუერტორიკოელმა გაიმარჯვა შვედ ლუნდგ�ტთან — 6:3, 6:4, ხოლო ამერიკელმა „იმსხვერპლა“ სასელგასთქმული ესპანელი ჩოგბურთელი სანტანა — 6:4, 6:2.

▲ ოსლო. სკანდინავიის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის ფინალური დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ვილსონმა მწკავე ბრძოლაში დაამარცხა დანიელთა პირველი ჩოგბურთელი ულრიკი — 12:10, 3:6, 6:4, 5:7, 6:3.

# ხელბურთის მერიდიანებზე

### ჩემპიონთა თასზე

ლაიპციგი. აქ გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივ ქალთა გუნდისა და რეიკიავიკის (ისლანდია) „ვალურს“ შორის. გერმანელებმა კვლავ კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 26:9 (15:5). მასპინძლები, რომლებმაც პირველი შეხვედრაც მოიგეს (19:8), გავიდნენ ნახევარფინალში.

პრაღა. ადგილობრივი „დუკლას“ ხელბურთელმა ვაჟებმა განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩიც მოუგეს ისლანდიის ჩემპიონს — ჰაბნარფიერდურის „ფიმლეიკაფელაგს“ — 23:16 (12:6) და ნახევარფინალში გავიდნენ.

ბეტეგორგი. „რკ-გეტეგორგის“ ქალთა გუნდმა შინ წააგო მეოთხედფინალური თამაში დანიის ჩემპიონ „არჰუსთან“ — 18:24.

### შესარჩევი მატჩი

ბოროდო. აქ გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის განმეორებითი შესარჩევი მატჩი საფრანგეთისა და ესპანეთის ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულ გუნდებს შორის. ნაკრებთა პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ (14:14), ამჯერად კი ფრანგებმა იმარჯვეს, თანაც დიდი ანგარიშით — 22:12 (13:6). ამ ჯგუფიდან ფინალში გასასვლელად იბრძვის უნგრეთის ნაკრებიც. ახლა მდგომარეობა ასეთია: უნგრეთს 5 ქულა აქვს, საფრანგეთს — 4, ესპანეთს — 1. ამგვარად, ესპანელები მსოფლიო პირველობის ფინალის მიღმა დარჩნენ, ხოლო საფრანგეთისა და უნგრეთის გუნდების ერთადერთ მატჩს არსებითი მნიშვნელობა აღარ აქვს: ორივე გუნდი გავიდა ფინალში.

### საკონტროლო შეხვედრა

კრისტიანსენი (შვეიცია). გფრ-ის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელთან — შვეიციის ეროვნულ გუნდთან საკონტროლო მატჩი გამართა და გაიმარჯვა — 17:16.




კალათბურთი. სპორტის სასახლე. 24-28 თებერვალი. სსრ კავშირის პირველობა ქალთა გუნდებს შორის. „ა“ კლასი (II წრე, I ტური). დღეს ერთმანეთს ხვდებიან: 17-ს. „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (მოსკოვი), 18 ს. 30 წ. „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) — „ბურევესტნიკი“ (როსტოვი), 20 ს. სპი (თბილისი) — სკა (ლენინგრადი).

ბადრაკი. ცენტრალური საბადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). 24 თებერვალი-5 მარტი. თბილისის ვაჟთა ჩემპიონატის ფინალი. დასაწყისი 17 ს.

ფეხბურთი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 26 თებერვალი-10 მარტი. ზამთრის ტურნირი „ა“ კლასის გუნდებს შორის (ორ ქვეჯგუფში). 26 თებერვალს ერთმანეთს ხვდებიან: „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (ბათუმი), 27-ში — „ლოკომოტივი“ (თბილისი) — ასკ (როსტოვი), 28-ში — ასკ (ოდესა) — „შინიკი“ (იაროსლავლი), 1 მარტს — „ტატრანი“ (ჩეხოსლოვაკია) — „დინამო“ (ბათუმი), 2-ში — ასკ (ოდესა) — ასკ (როსტოვი), 3-ში — „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შინიკი“ (იაროსლავლი), 5-ში — „ტატრანი“ (ჩეხოსლოვაკია) — „ზენიტი“ (ლენინგრადი), 6-ში — ასკ (ოდესა) — „ლოკომოტივი“ (თბილისი), 7-ში — ასკ (როსტოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი). კვირაობით თამაშების დასაწყისი 14 ს. დანარჩენ დღეებში — 16 ს. 8, 9 და 10 მარტს გაიმართება ქვეჯგუფებში შესაბამის ადგილებზე გასული გუნდების მატჩები.





გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო — 8-95 80, სპორტული განყოფილება — 8-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01456